საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
მაღალი განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 8 23 0000752824

23/06/2023

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუს
ელ. ფოსტა: info@seu.edu.ge

თქვენი 2023 წლის 21 ივნისის N738490 წერილის პასუხად, მოგახსენებთ, რომ საქართველოს რეგულაციების მიხედვით, დიპლომირებული მედიკოსის (MD) პროგრამები (რომლებიც ინდოეთსა და დიდ ბრიტანეთში MBBS კვალიფიკაციის ექვივალენტურია) ხორციელდება 6 წლის მანძილზე (360 ECTS), ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა მოიცავს სტაჟირებას მე-6, დამამთავრებელ წელს.

ინტენსიური კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი ინტეგრირებულია დიპლომირებული მედიკოსის (MD) ყველა პროგრამაში, რაც ნიშნავს, რომ პროგრამის მე-3 წლიდან მოყოლებული, ყველა სტუდენტი გადის კლინიკურ პრაქტიკას.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქართველოში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსდამთავრებულებს, განურჩევლად მათი ეროვნებისა, უფლება აქვთ შევიდნენ პროფესიაში და შეასრულონ უმცროსი ექიმის მოვალეობა. საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე კურსდამთავრებულები სარგებლობენ თანაბარი უფლებით.

ყველა სტუდენტი, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ირიცხებიან დიპლომირებული მედიკოსის აკრედიტებულ პროგრამებზე, რეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS).

ასევე უნდა განვმარტოთ, რომ სამედიცინო სტუდენტებს, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებს, ასევე საერთაშორისო სტუდენტის სტატუსის მქონე პირებს, ენიჭებათ

დიპლომირებული მედიკოსის ხარისხი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ (ინდოეთში და დიდ ბრიტანეთში MBBS-ის მსგავსად) იმ პირობით, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი წარმატებით იქნა გავლილი. ეს წესი თანაბრად ეხება როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე ინდოეთის მოქალაქე და სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე კურსდამთავრებულს.

საქართველოში არსებული ყველა სამედიცინო სკოლა ავტორიზებულია, ხოლო დიპლომირე ბული მედიკოსის პროგრამა აკრედიტებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება ნიშნავს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა და პროცესები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, საქართველოში სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა (WHO) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნებთან.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსისა (MD) და MBSS პროგრამების კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ მიენიჭოთ უმცროსი ექიმის სტატუსი.

To Georgian National University - SEU

In response to you letter N738490 dated 21.06.2023, we confirm that according to the regulations in Georgia, MD programs (which are equivalent to MBBS qualifications in India and the UK) are 6 years (360 ECTS), and the duration of educational programs includes an internship during the 6th, graduating year.

Intense clinical practice component is integrated in all MD programs which means that starting with the 3rd year of the program, all students go through clinical practice.

According to article 17 of LAW OF GEORGIA ON MEDICAL PRACTICE, graduates of the MD (Medical Doctor) program in Georgia, regardless of their nationality, have the right to practice their profession and perform the duties of a junior doctor. They are at par with the rights given to practice the medical profession by the citizens of Georgia.

All students, including international ones, studying at authorized higher education institutions and enrolled on accredited MD programs, are registered in Education Management Information system of Georgia (EMIS) under the Ministry of Education and Science of Georgia.

It should further be clarified that medical students, both local citizens and the ones with international student status, are granted the Medical Doctor degree by the Georgian higher educational institutions (equal to MBBS in India and in the UK) on condition that all the components envisioned by the curriculum are successfully completed. The rule is the same for local as well as Indian and any other international medical graduates.

All medical schools and programs in Georgia are authorized and accredited by the LEPL – National Center for Educational Quality Enhancement (NCEQE), which is internationally recognized by the World Federation of Medical Education (WFME).

Having the WFME recognition means that the NCEQE activities and processes, authorization and accreditation standards and procedures, medical education benchmark in Georgia are in full compliance with the demands of the World Health Organization (WHO) and the World Federation of Medical Education (WFME).

According to international standards, both MD and MBBS graduates are also known as Junior Doctors.

Sincerely,
Head of the HE QA Department at NCEQE, Georgia
Nikoloz Parjanadze

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახური
სამსახურის უფროსი
ფარჯანაძე ნიკოლოზი